საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 18 01207620

23/05/2018

წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ მაია ლაგვილავას

ქალბატონო მაია,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 21 სექტემბრის №01/59522 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მიხედვით, პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვაზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ერთობლივი ღონისძიებების წარმატებით განხორციელების მიზნით თანამშრომლობის გასაგრძელებლად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის განახლებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას მხარეებს შორის გაფორმდეს „ფარმაცევტულ ბაზარზე პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლისა და ზედამხედველობის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, დანართად წარმოდგენილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გასაფორმებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოდგენილი იქნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან კაკავას სახით.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის ორგანიზაციულ საკითხებზე საკონტაქტო პირად განისაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი თათია ცეცხლაძე (ელ. ფოსტა: t.tsetskhladze@mia.gov.ge ტელ.: 599 67 88 76; 2411994)

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი
სახოკია გიორგი